სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 72

2011 წლის 04 [illegible]

ქ. თბილისი

„მოსწავლე-გამომგონებელთა "ლეონარდო და ვინჩი" კონკურსის გამოცხადებისა და კონკურსის პირობების დამტკიცების შესახებ" სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2011 წლის 22 სექტემბრის №64 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „ნორჩ გამომგონებელთა კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 23 თებერვლის №98 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის, "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" და ,,თ" ქვეპუნქტების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „მოსწავლე-გამომგონებელთა "ლეონარდო და ვინჩი" კონკურსის გამოცხადების, განაცხადების მიღების ვადების დადგენისა და კონკურსის პირობების დამტკიცების შესახებ" სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2011 წლის 22 სექტემბრის №64 ბრძანებაში და მე-4 მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. საკონკურსო განაცხადების ფონდის ელექტრონულ ბაზაში რეგისტრაციის, გამოგონების აღწერილობისა და ნახაზების შემცველი ელექტრონული ფაილების ატვირთვა შესაძლებელი იქნება 2011 წლის 22 სექტემბრიდან 2011 წლის 15 ნოემბრის

18:00-მდე. აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ ფონდის ელექტრონული ბაზა დაიხურება განაცხადების რეგისტრაციისათვის.“

„10. ხელმოწერილი „განაცხადი კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ ისევე, როგორც საილუსტრაციო ნახაზი/მოდელი/მაკეტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რაიონულ რესურს-ცენტრში წარდგენილი უნდა იქნას 15 ნოემბრის 18:00-მდე.“

2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მთავარ სპეციალისტს თ. გორგოძეს ბრძანების საჯაროდ გაცნობისათვის განთავსება სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ვებგვერდზე: www.rustaveli.org.ge.

3. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

სულხან სისაური